ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. მარტის 10 — № 6 — თბილისი

## შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

26. ჩაის ფოთლის კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ.

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**26.** **ჩაის ფოთლის კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 16 თებერვლის „ჩაის ფოთლის კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წ. გეგმის შესახებ" გამოცემული № 125 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლიდან ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების გეგმა (ბაიხის ჩაის გამოსამუშავებლად) 43.100 ტონის რაოდენობით, აქედან:

კონტრაქტაციით (კოლმეურნეობები, კოლმეურნეები, ერთპიროვნული მეურნეობები) . . . . . . . . . . . . 31.763 ტონა
ჩაბარება „საქართველოს ჩაის" საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობების მიერ . . . . . . . 10.717 „
ჩაბარება აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების მიერ 340 „
ჩაბარება ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის პლანტაციებიდან . . . . . . . . . . 280 „

2. დამტკიცდეს 1939 წლის მოსავლიდან ძირითადი ჩაის ფოთლის დამზადების შემდეგი ხარისხობრივი გეგმა მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში:

I. ხარისხის 70% . . . . . . . . 30.170 ტონა
II. „ 16% . . . . . . . 6.896 „
III. „ 14% . . . . . . . 6.034 „

3. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში 1939 წლის მოსავლიდან ჩაის უხეში ფოთლის დამზადების გეგმა (აგურის ჩაის გამოსამუშავებლად) 4000 ტონის რაოდენობით, აქედან:

კონტრაქტაციით (კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეობები) . . . . . . . . . . . . 2.830 ტონა
ჩაბარება „საქართველოს ჩაის" საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობების მიერ . . . . . . . . 1.100 „
ჩაბარება ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის პლანტაციებიდან . . . . . . . . 30 „
ჩაბარება აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების მიერ . . . . . . . . . . . . . . . 40 „

4. შესაცვლელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 18 თებერვლის № 275 დადგენილებისა „1939 წლის სეზონში კოფეინის მასალის დამზადებისა და გახმობის ორგანიზაციის შესახებ“, დამტკიცდეს 1939 წ. ჩაის პლანტაციების ნარჩენების დამზადების გეგმა (კოფეინის გამოსამუშავებლად) 2000 ტონის რაოდენობით, აქედან:

კონტრაქტაციით (კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეობები) . . . . . . . . . . . 1000 ტონა

ჩაბარება „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობების მიერ . . . . . . 1000 ტონა

5. დამტკიცდეს ჩაის ფოთლის დამზადების შემდეგი მაჩვენებლები:

ა) ჩაის საკრეფი ფართობები, საშუალო მოსავლიანობა და 1939 წელს ჩაის ფოთლის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში განაწილებით რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, თანახმად დანართებისა № № 1 და 2;

ბ) საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში ჩაის ძირითადი ფოთლის კონტრაქტაციის და დამზადების რაიონობრივი და თვიური გეგმა (იხილ. დანართი № 3);

გ) „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში, ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის პლანტაციებზე და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ძირითადი ფოთლის ჩაბარების თვიური გეგმები (იხ. დანართები № № 3 და 4);

დ) საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ძირითადი ფოთლის კონტრაქტაციისა და ხარისხის მიხედვით დამზადების რაიონობრივი გეგმა (იხ. დანართი № 5);

ე) „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში და ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის პლანტაციებზე ჩაის ძირითადი ფოთლის ჩაბარების ხარისხობრივი გეგმა (იხ. დანართი № 6).

ვ) საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის უხეში ფოთლის და ჩაის პლანტაციების ნარჩენების (კოფეინის გამოსამუშავებლად) კონტრაქტაციის და დამზადების რაიონობრივი გეგმა (იხილე დანართი № 7);

ზ) „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის პლანტაციებზე ჩაის უხეში ფოთლის და ჩაის პლანტაციების ნარჩენების (კოფეინის გამოსამუშავებლად) ჩაბარების გეგმა (იხ. დანართი № 8).

6. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, ჩაის რაიონების რაიონულ კომიტეტებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს არაუგვიანეს 1939 წ. 10 მარტისა უზრუნველჰყონ სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის ჩაბარების გეგმისა და წესის დაყვანა თითოეულ კოლმეურნეობამდე, სასოფლო საბჭომდე (კოლმეურნეებისა საკარმიდამო ნაკვეთების მიმართ და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის) და საბჭოთა მეურნეობებამდე, ხოლო ტრესტ „საქართველოს ჩაიმ“ არაუგვიანეს 1939 წ. 15 აპრილისა დაამთავროს 1939 წლის მოსავლის ჩაის ფოთლის კონტრაქტაციის ჩატარება, ამასთან კოლმეურნეობებთან, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში გაითვალისწინოს ჩაის ფოთლის ჩაბარების ხარისხობრივი და კალენდარული გეგმები.

7. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის:

ა) ჩაის ფოთლის 1938 წელს მომქმედი ხარისხობრივი დასამზადებელი ფასები;

ბ) ჩაის ფოთლის გეგმის ზევით ჩაბარებისათვის ჯილდო-წანამატების გაცემის წესი;

გ) ჩაის ძირითადი ფოთლის მიღების 1938 წელს მომქმედი წესები და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა ტექსტი.

8. დამტკიცდეს 1939 წ. სეზონისათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის“ დამამზადებელი პუნქტების ქსელი ჩაის ფოთლის მისაღებად რაიონებისა და ჩაის ფაბრიკების მიხედვით 508 პუნქტის რაოდენობით (იხ. დანართი № 9).

დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გაუთვალისწინებელი ახალი დამამზადებელი პუნქტების გახსნას შეიძლება ექნეს ადგილი მხოლოდ მას შემდეგ, რა(
რაიონული ორგანიზაციები წინასწარ შეათანხმებენ საკითხს ტრესტს „საქართველოს ჩაისთან“.

9. წინადადება მიეცეს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ არაუგვიანეს 1939 წ
10 აპრილისა უზრუნველჰყოს დამამზადებელი პუნქტები და ჩაის ფაბრიკები მიშ
ღებებით და საჭირო რაოდენობის სასასწორო ინვენტარითა და ტარით, ამასთან არ დაუშვას ჩამბარებლისაგან ფოთლის მიღების დაგვიანება.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხ
კომისარიატს, მიწათმოქმედების რაიონული განყოფილებების გამგეებს, სამა
ქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებსა და ჩაის კანტორების უფრო
სებს მოაწყონ ჩაის ფოთლის ჩაბარება ცალკეულ კოლმეურნეობების, ბრიგად
ბის, რგოლების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეობების მიერ დღ
ში სულ მცირე სამჯერ მაინც, ამასთან უზრუნველჰყონ ჩაის პლანტაციებ
მოვლის ყველა სამუშაოს მაღალხარისხოვნად ჩატარება აგროწესებით დადგ
ნილ ვადებში.

დაწესდეს, რომ „საქართველოს ჩაის“ მიმღებ პუნქტებამდე კოლმეურნე
ბები, კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები ჩაის ფოთოლს მიიტან
თავისი ტრასპორტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**11.** წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) ჩაის რაიონების რაიონულ კომიტეტებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, არაუგვიანეს 1939 წ. 10 აპრილისა უზრუნველჰყონ ჩაის ფოთლის ყველა მომკრეფი ტარით (კალათები, ყუთები).

**12.** დაევალოს ჩაის რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებამდე ჩაატარონ დამამზადებელი პუნქტებისაკენ მიმავალი გზების რემონტი და მოიყვანონ ეს გზები ისეთ მდგომარეობაში, რომ მათზე მოძრაობა შეეძლოს ავტომანქანებს.

**13.** იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას გასული წლების პრაქტიკა, როდესაც ჩაის ფოთლის დამზადების თვიური გეგმები ხშირად სრულდებოდა თვის უკანასკნელ ხუთდღიურებში, რაც იწვევდა ნედლეულის ხარისხისა და გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, აგრეთვე ჩაის ფაბრიკების გადატვირთვას,—დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებს, ჩაის რაიონების რაიონულ კომიტეტებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ ჩაის ფოთლის განუწყვეტლივ კრეფა თვის განმავლობაში იმ ანგარიშით, რომ არ დაუშვან ფოთლის გადაბერება, გაუხეშება და დაკარგვა პლანტაციებზე.

**14.** იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩაის ფოთლის დროულად მიტანა პლანტაციებიდან დამამზადებელ პუნქტებზე და დამამზადებელი პუნქტებიდან—ჩაის ფაბრიკებში, ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 10 აპრილამდე გასცეს ავტომანქანების არსებული პარკისათვის შემდეგი რაოდენობის ავტომანქანები და ავტოსაფარები:

| | ავტომანქანები | ავტოსაფარები ცალი. |
|---|---|---|
| კოლმეურნეობებისათვის . . . . . . . . . | 250 | 2000 |
| ჩაის ფაბრიკებისათვის . . . . . . . . . | — | 2500 |
| „საქართველოს ჩაის" საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებისათვის | 30 | 1900 |
| ს უ ლ . . . . | 280 | 6400 |

**15.** იმის გამო, რომ ჩამორჩენილია ჩაის ფაბრიკების რემონტისა და დამატებით მოწყობის საქმე, რაც უნდა ყოფილიყო დამთავრებული ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონის დაწყებისათვის, ეთხოვოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ზოტოვს არაუგვიანეს 1939 წ. 20 მარტისა გამოგზავნოს საშენი მასალების (ხე-ტყე, ცემენტი, ფანერა) პირველი კვარტალის ფონდების მთელი ნაკლტვირთვა.

დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ტრესტს „საქართველოს ჩაის" არაუგვიანეს 1939 წ. 1 აპრილისა შემოიტანონ მათთვის გამოყოფილი 400 ცხენისძალოვანი ძრავი მახარაძის ფაბრიკაში დასადგმელად.

**16.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. წიკლაურს) და ბათუმის სამანქანათმშენებლო ქარხნის დი-

ეროვნული

რექტორს (ამხ. ბალანკოვს) არაუგვიანეს 1939 წ. პირველი აპრილისა უზრუნველ-
ჰყონ „საქართველოს ჩაის“ მიერ მთელ მოწყობილობაზე (სახმობი ლუმელები
კალორიფერები, როლერები და სათადარიგო ნაწილები) შეკვეთების შესრულე-
ბა და ჩაბარება.

წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტ
სისტემატიურად შეამოწმოს ჩაის მოწყობილობის დამზადების მიმდინარეობა და
მიიღოს სათანადო ზომები ამ გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა:

ა) გაგზავნოს ბათუმის სამანქანათმშენებლო ქარხანაში ინჟენერთა სპეცია-
ლური ბრიგადა, რომელიც ქარხნის დირექციასთან ერთად უზრუნველყოფ
პროდუქციის თავის დროზე გამოშვებას „საქართველოს ჩაისათვის“;

ბ) არაუგვიანეს 1939 წ. 1 აპრილისა დაამთავროს ჩაის ფაბრიკების რე-
მონტი და, სპეციალური მიმღები კომისიების შექმნის გზით, უზრუნველჰყოს შე-
კეთებული ჩაის ფაბრიკების მიღება.

**17.** წინადადება მიეცეს ცეკავშირს (ამხ. ჯიბლაძეს) შეიტანოს ჩაის რაიო-
ნებში 2.500 ცალი ხელის სასწორი ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურ-
ნეობებისათვის მისასყიდად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე ვ. **ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი კ. **ჩარკვიანი**

1939 წ. მარტის 3. № 334.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

# ც ე ც მ ა

## 1939 წ. ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადებისა საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში რაიონების მიხედვით.

| რაიონების დასახელება | 1939 წ. | | |
|---|---|---|---|
| | ჩაის პლანტაციის ფართობი სრულ მოსავლიანზე გადატანით | საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე (კლგ.) | საერთო მოსავალი (ტონ.) |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1. ბათუმის | 471.7 | 2118 | 1.000 |
| 2. ქობულეთის | 1064.8 | 3985 | 4.245 |
| 3. აჭარ.საბჭ. მეურნ. ტრესტი | 118 | 2881 | 340 |
| სულ აჭარის ასსრ-ში | 1654.5 | 3.375 | 5.585 |
| 4. გალის | 1149.8 | 2.095 | 2.410 |
| 5. ოჩემჩირის | 545.9 | 2.656 | 1.450 |
| 6. სუხუმის | 8.0 | 1.750 | 14 |
| 7. გუდაუთის | 8.0 | 2.000 | 16 |
| სულ აფხაზეთის ასსრ-ში | 1711.7 | 2.273 | 3.890 |
| 8. მახარაძის | 3230.3 | 2.334 | 7.540 |
| 9. ჩოხატაურის | 768.8 | 1.625 | 1.253 |
| 10. ლანჩხუთის | 1821.6 | 1.839 | 3.350 |
| 11. სამტრედიის | 209.2 | 1.248 | 261 |
| 12. წულუკიძის | 278.4 | 3.021 | 841 |
| 13. ქუთაისის | 122.0 | 2.598 | 317 |
| 14. ტყიბულის | 359.5 | 1.419 | 510 |
| 15. ცხაკაიას | 646.2 | 1.437 | 929 |
| 16. გეგეჭკორის | 683 | 2.844 | 1.945 |
| 17. ზუგდიდის | 1821.3 | 1.748 | 3.183 |
| 18. წალენჯიხის | 915.7 | 1.215 | 1.113 |
| 19. ჩხოროწყუს | 431.3 | 2.319 | 1.000 |
| 20. ხობის | 220.1 | 1.754 | 386 |
| სულ საქართველოს სსრ-ში | 14873.6 | 2.158 | 32.103 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

# მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

„საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტის საბჭოთა მეურნეობების 1939 წ. ექსპლოატაციაში მყოფი საკრეფი ფართობებისა (სრულ-მოსავლიან პლანტაციებზე გადატანით), ჩაის ძირითად ფოთლის საშუალო მოსავლიანობისა 1 ჰექტარზე და ფოთლის ჩაბარების 1939 წლის გეგმისა.

| საბჭოთა მეურნეობების დასახელება | 1939 წ. | | |
|---|---|---|---|
| | საკრეფი ფართობი სრულ მოსავლიანზე გადატანით (ჰექტ.) | საშუალო გეგმიანი მოსავლიანობა 1 ჰექტარზე (კლგ.) | ფოთლის ჩაბარების გეგმა (ტონ.) |
| 1. სალიბაურის | 123.3 | 3.406 | 420.0 |
| 2. ჩაქვის | 534.5 | 3.463 | 1850.0 |
| 3. ოჩხამურის | 521.0 | 3.106 | 1618.0 |
| 4. ლაითურის | 477.7 | 3.006 | 1436.0 |
| 5. ნასაკირალის | 387.1 | 2.353 | 911.0 |
| 6. წულუკიძის | 204.1 | 1.519 | 310.0 |
| 7. დიდი-ჭყონის | 389.0 | 1.751 | 681.0 |
| 8. ნარაზენის | 664.3 | 1.249 | 830.0 |
| 9. ჯოლევჯიანის | 227.9 | 3.480 | 793.0 |
| 10. ლეხიჭინის | 77.8 | 3.882 | 302.0 |
| 11. წალენჯიხის | 385.7 | 1.309 | 505.0 |
| 12. აჩიგვარის | 485.1 | 1.480 | 718.0 |
| 13. კოდორის | 109.2 | 3.141 | 343.0 |
| ს უ ლ | 4586.7 | 2.337 | 10717.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ

## 39 წლის ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადებისა საკოლმეურნეო-ბებში თვეების

| რაიონების დასახელება | ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა (ტონ.) | ჩაის ფოთლის კრეფის | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | აპრილი—მაისი | | ივნისი | |
| | | % % | ტონ. | % % | ტონ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. ბათუმის . . . . . . . . . . . | 1000 | 23 | 230 | 13 | 130 |
| 2. ქობულეთის . . . . . . . . . . | 4245 | 23 | 976 | 13 | 552 |
| 3. აჭარ. ასსრ მიწსახკომის საბჭ.მეურნ. | 340 | 23 | 78 | 13 | 44 |
| სულ აჭარის ასსრ-ში . | 5585 | 23 | 1284 | 13 | 726 |
| 4. გალის . . . . . . . . . . . | 2410 | 23 | 554 | 14 | 338 |
| 5. ოჩემჩირის . . . . . . . . . | 1450 | 23 | 333 | 14 | 203 |
| 6. სუხუმის . . . . . . . . . . | 14 | 17 | 2 | 15 | 2 |
| 7. გუდაუთის . . . . . . . . . | 16 | 18 | 3 | 16 | 2.5 |
| სულ აფხაზეთის ასსრ-ში . | 3890 | 23 | 892 | 14 | 545.5 |
| 8. მახარაძის . . . . . . . . . | 7540 | 22 | 1659 | 14 | 1055 |
| 9. ჩოხატაურის . . . . . . . . | 1253 | 22 | 276 | 14 | 175 |
| 0. ლანჩხუთის . . . . . . . . . | 3350 | 22 | 737 | 14 | 469 |
| 1. სამტრედიის . . . . . . . . | 261 | 22 | 57 | 14 | 36 |
| 2. წულუკიძის . . . . . . . . . | 841 | 22 | 185 | 14 | 118 |
| 3. ქუთაისის . . . . . . . . . | 317 | 21 | 70 | 14 | 44 |
| 4. ტყიბულის . . . . . . . . . | 510 | 22 | 112 | 14 | 72 |
| 5. ცხაკაიას . . . . . . . . . | 929 | 22 | 204 | 14 | 130 |
| 6. გეგეჭკორის . . . . . . . . | 1945 | 22 | 428 | 14 | 272 |
| 7. ზუგდიდის . . . . . . . . . | 3183 | 22 | 701 | 14 | 446 |
| 8. წალენჯიხის . . . . . . . . | 1113 | 22 | 245 | 14 | 156 |
| 9. ჩხოროწყუს . . . . . . . . | 1000 | 22 | 220 | 14 | 140 |
| 0. ხობის . . . . . . . . . . . | 386 | 22 | 85 | 14 | 54 |
| სულ რესპუბლიკაში . . | 32.103 | 22.3 | 7.155 | 13.8 | 4438.5 |

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 3

მ ა

## გლეხურ სექტორში და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეო
## მიხედვით

| გეგმის განაწილება თვეების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ივლისი | | აგვისტო | | სექტემბერი | | ოქტომბერი | |
| % % | ტონ. | % % | ტონ. | % % | ტონ. | % % | ტონ. |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 24 | 240 | 25 | 250 | 12 | 120 | 3 | 30 |
| 24 | 1019 | 25 | 1061 | 12 | 509 | 3 | 128 |
| 24 | 82 | 25 | 85 | 12 | 41 | 3 | 10 |
| 24 | 1341 | 25 | 1396 | 12 | 670 | 3 | 168 |
| 24 | 579 | 23 | 554 | 13 | 313 | 3 | 72 |
| 24 | 348 | 23 | 334 | 13 | 189 | 3 | 43 |
| 25 | 3.5 | 25 | 4 | 14 | 2 | 3 | 0 5 |
| 25 | 4 | 25 | 4 | 13 | 2 | 3 | 0.5 |
| 24 | 934.5 | 23 | 896 | 13 | 506 | 3 | 116 |
| 24 | 1810 | 24 | 1810 | 13 | 980 | 3 | 226 |
| 24 | 301 | 24 | 301 | 13 | 163 | 3 | 37 |
| 24 | 804 | 24 | 804 | 13 | 436 | 3 | 100 |
| 24 | 63 | 24 | 63 | 13 | 34 | 3 | 8 |
| 24 | 202 | 24 | 202 | 13 | 109 | 3 | 25 |
| 24 | 76 | 24 | 76 | 13 | 41 | 3 | 10 |
| 24 | 122 | 24 | 122 | 13 | 66 | 3 | 16 |
| 24 | 223 | 24 | 223 | 13 | 121 | 3 | 28 |
| 24 | 467 | 24 | 467 | 13 | 253 | 3 | 58 |
| 24 | 763 | 24 | 763 | 13 | 414 | 3 | 96 |
| 24 | 267 | 24 | 267 | 13 | 145 | 3 | 33 |
| 24 | 240 | 24 | 240 | 13 | 130 | 3 | 30 |
| 24 | 93 | 24 | 93 | 13 | 50 | 3 | 11 |
| 24.0 | 7706.5 | 24.1 | 7723 | 12.8 | 4118 | 3.0 | 962 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4

# გ ე გ მ ა

**ჩაის ძირითად ფოთლის ჩაბარებისა თვეების მიხედვით „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციებზე 1939 წლისათვის**

| საბჭოთა მეურნეობების დასახელება | ჩაის ფოთლის ჩაბ. წლ. გეგმა (ტონ.) | მათ რიცხვში | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აპრილი-მაისი | | ივნისი | | ივლისი | | აგვისტო | | სექტემბერი | | ოქტომბერი | |
| | | %% | ტონ. | %% | ტონ. | %% | ტონ. | %% | ტონ. | %% | ტონ. | %% | ტონ. |
| 1. სალიბაურის . . . . | 420 | 24 | 101 | 16 | 67 | 22 | 92 | 23 | 97 | 13 | 55 | 2 | 8 |
| 2. ჩაქვის . . . . . . . | 1850 | 25 | 462 | 15 | 278 | 22 | 407 | 23 | 426 | 13 | 240 | 2 | 37 |
| 3. ოჩხამურის . . . . . | 1618 | 21 | 340 | 14 | 227 | 24 | 388 | 25 | 404 | 13 | 210 | 3 | 49 |
| 4. ლაითურის . . . . . | 1436 | 22 | 316 | 14 | 201 | 24 | 345 | 25 | 359 | 12 | 172 | 3 | 43 |
| 5. ნასაკირალის . . . . | 911 | 22 | 200 | 14 | 128 | 24 | 219 | 25 | 228 | 12 | 109 | 3 | 27 |
| 6. წულუკიძის . . . . . | 310 | 24 | 75 | 16 | 50 | 23 | 71 | 23 | 71 | 12 | 37 | 2 | 6 |
| 7. დიდი-ჭყონის . . . . | 681 | 20 | 136 | 14 | 95 | 25 | 170 | 25 | 170 | 13 | 89 | 3 | 21 |
| 8. ნარაზენის . . . . . . | 830 | 24 | 199 | 14 | 116 | 25 | 208 | 24 | 199 | 11 | 91 | 2 | 17 |
| 9. ჯოლევჯიანის . . . . | 793 | 21 | 167 | 14 | 111 | 25 | 198 | 25 | 198 | 12 | 95 | 3 | 24 |
| 10. ლესიჭინის . . . . . | 302 | 22 | 66 | 14 | 42 | 25 | 76 | 25 | 76 | 12 | 36 | 2 | 6 |
| 11. წალენჯიხის . . . . . | 505 | 21 | 106 | 13 | 66 | 25 | 126 | 26 | 131 | 13 | 66 | 2 | 10 |
| 12. აჩიგვარის . . . . . | 718 | 21 | 151 | 14 | 101 | 24 | 172 | 25 | 180 | 13 | 93 | 3 | 21 |
| 13. კოდორის . . . . . . . | 343 | 21 | 72 | 14 | 48 | 25 | 86 | 24 | 82 | 13 | 45 | 3 | 10 |
| სულ „საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში | 10717 | 22.3 | 2391 | 14.3 | 1530 | 23.9 | 2558 | 24.5 | 2621 | 12.4 | 1338 | 2.6 | 279 |
| 14. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციები . . . . | 280 | 22.0 | 62 | 14 | 39 | 24 | 67 | 24 | 67 | 13 | 36 | 3 | 9 |

№

# გ ე გ მ ა

**საკოლმეურნეო—გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭო[თა] მეურნეობებში ჩაის ძირითადი მწვანე ფოთლის დამზადებისა 1939 წლისათვ[ის]**

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | სულ მწვანე ფოთოლი | I-ლი ხარისხი | | II-ე ხარისხი | | III-ე ხარისხი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ხვედრ. წონა | აბსოლუტ. | ხვედრ. წონა | აბსოლუტ. | ხვედრ. წონა | აბსოლუტ. |
| 1. ბათუმის . . . . . . . . . . . . . | 1000 | 85 | 850 | 8 | 80 | 7 | 70 |
| 2. ქობულეთის . . . . . . . . . . . . | 4245 | 84 | 3565 | 9 | 383 | 7 | 297 |
| 3. აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭ. მეურნ. | 340 | 85 | 289.0 | 8 | 27 | 7 | 24 |
| სულ აჭარის ასსრ-ში . . | 5585 | 84.2 | 4704 | 8.8 | 490 | 7.0 | 391 |
| 4. გალის . . . . . . . . . . . . . | 2410 | 65.6 | 1580 | 17.2 | 415 | 17.2 | 415 |
| 5. ოჩემჩირის . . . . . . . . . . . | 1450 | 65.6 | 951 | 17.2 | 249 5 | 17.2 | 249 |
| 6. სუხუმის . . . . . . . . . . . . | 14 | 65.6 | 9 | 17.2 | 2.5 | 17.2 | 2 |
| 7. გუდაუთის . . . . . . . . . . | 16 | 65.6 | 10 | 17.2 | 3 | 17.2 | 3 |
| სულ აფხაზეთის ასსრ-ში . | 3890 | 65.6 | 2550 | 17.2 | 670 | 17.2 | 670 |
| 8. მახარაძის . . . . . . . . . . . | 7540 | 70.0 | 5277 | 18.0 | 1359 | 12.0 | 904 |
| 9. ჩოხატაურის . . . . . . . . . . | 1253 | 66.7 | 885 | 17.5 | 220 | 15.8 | 198 |
| 10. ლანჩხუთის . . . . . . . . . . . | 3350 | 66.7 | 2233 | 17.5 | 588 | 15.8 | 529 |
| 11. სამტრედიის . . . . . . . . . . | 261 | 65.6 | 171 | 17.2 | 45 | 17.2 | 45 |
| 12. წულუკიძის . . . . . . . . . . . | 841 | 65.6 | 551 | 17.2 | 145.0 | 17.2 | 145 |
| 13. ქუთაისის . . . . . . . . . . . | 317 | 65.6 | 207 | 17.2 | 55 | 17.2 | 55 |
| 14. ტყიბულის . . . . . . . . . . . | 510 | 65.6 | 334 | 17.2 | 88 | 17.2 | 88 |
| 15. ცხაკაიას . . . . . . . . . . . | 929 | 65.6 | 609 | 17.2 | 160 | 17.2 | 160 |
| 16. გეგეჭკორის . . . . . . . . . . | 1945 | 65.6 | 1275 | 17.2 | 136 | 17.2 | 334 |
| 17. ზუგდიდის . . . . . . . . . . . | 3188 | 65.6 | 2087 | 17.2 | 549 | 17.2 | 547 |
| 18. წალენჯიხის . . . . . . . . . . | 1113 | 65.6 | 730 | 17.2 | 192 | 17.2 | 191 |
| 19. ჩხოროწყუს . . . . . . . . . . . | 1000 | 65.6 | 656.0 | 17.2 | 172 | 17.2 | 172 |
| 20. ხობის . . . . . . . . . . . . | 386 | 65.6 | 253 | 17.2 | 67 | 17.2 | 66 |
| ს უ ლ . . . . . . . . . | 32103 | 70 | 22472 | 16 | 5136 | 14 | 4495 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 6

## ხარისხობრივი გეგმა

ქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების" ტრესტის საბჭოთა მეურნეო-
ბსა და ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად
ავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციებზე ჩაის ძირითადი
ფოთლის ჩაბარებისა 1939 წლისათვის

| საბჭოთა მეურნეობების დასახელება | წლ. გეგმა ჩაის ფოთლის ჩაბარებისა (ტონ.) | მათ რიცხვში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I-ლი ხარისხი | | II-ე ხარისხი | | III-ე ხარისხი | |
| | | ტონ. | % | ტონ. | % | ტონ. | % |
| 1. სალიბაურის . . . . . . . . . | 420 | 349 | 83 | 42 | 10 | 29 | 7 |
| 2. ჩაქვის . . . . . . . . . . . . | 1850 | 1314 | 71 | 277 | 15 | 259 | 14 |
| 3. ოჩხამურის . . . . . . . . . | 1618 | 1100 | 68 | 259 | 16 | 259 | 16 |
| 4. ლაითურის . . . . . . . . . | 1436 | 991 | 69 | 230 | 16 | 215 | 15 |
| 5. ნასაკირალის . . . . . . . . | 911 | 620 | 68 | 155 | 17 | 136 | 15 |
| 6. წულუკიძის . . . . . . . . . | 310 | 214 | 69 | 59 | 19 | 37 | 12 |
| 7. დიდი-ჭყონის . . . . . . . . | 681 | 477 | 70 | 129 | 19 | 75 | 11 |
| 8. ნარაზენის . . . . . . . . . . | 830 | 556 | 67 | 116 | 14 | 158 | 19 |
| 9. ჯოლეჯიანის . . . . . . . . | 793 | 555 | 70 | 127 | 16 | 111 | 14 |
| . ლესიჭინის . . . . . . . . . | 302 | 226 | 75 | 48 | 16 | 28 | 9 |
| . წალენჯიხის . . . . . . . . . | 505 | 348 | 69 | 91 | 18 | 66 | 13 |
| . აჩიგვარის . . . . . . . . . | 718 | 495 | 69 | 130 | 18 | 93 | 13 |
| . კოდორის . . . . . . . . . . | 343 | 257 | 75 | 52 | 15 | 34 | 10 |
| სულ „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების" ტრესტის მიხედვით . . | 10717 | 7502 | 70 | 1715 | 16 | 1500 | 14 |
| . ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციებზე . . . . . . . . | 280 | 196 | 70 | 45 | 16 | 39 | 14 |

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 7

# რაიონობრივი გეგმა

## საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ საბჭოთა მეურნეობებში ჩაის უხეში ფოთლის და ჩაის პლანტაციების ნარჩენების (კოფეინის დასამზადებლად) კონტრაქტაციის და დამზადებისა 1939 წლისათვის

| რაიონების დასახელება | კონტრაქტაციის და დამზადების გეგმა (ტონ.) | |
|---|---|---|
| | უხეში ფოთოლი | ჩაის პლანტაციების ნარჩენები |
| 1. ბათუმის | 80 | 150 |
| 2. ქობულეთის | 420 | 100 |
| 3. აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობები | 40 | — |
| სულ აჭარის ასსრ-ში | 540 | 250 |
| 4. გალის | 200 | 60 |
| 5. ოჩემჩირის | 100 | 40 |
| სულ აფხაზეთის ასსრ-ში | 300 | 100 |
| 6. მახარაძის | 720 | 250 |
| 7. ჩოხატაურის | 120 | 50 |
| 8. ლანჩხუთის | 370 | 150 |
| 9. სამტრედიის | 15 | — |
| 10. წულუკიძის | 40 | 20 |
| 11. ქუთაისის | 5 | — |
| 12. ტყიბულის | 15 | 20 |
| 13. ცხაკაიას | 90 | 40 |
| 14. გეგეჭკორის | 160 | 50 |
| 15. ზუგდიდის | 270 | 20 |
| 16. წალენჯიხის | 110 | — |
| 17. ჩხოროწყუს | 90 | 50 |
| 18. ხობის | 25 | — |
| სულ საქართველოს სსრ-ში | 2870 | 1000 |

№ 6



მუხ. 26

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 8

# გ ე გ მ ა

„საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის“ საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციებზე ჩაის უხეში ფოთლის და ჩაის პლანტაციების ნარჩენების (კოფეინის დასამზადებლად) ჩაბარებისა 1939 წლისათვის

| საბჭოთა მეურნეობების დასახელება | ჩაბარების გეგმა (ტონ.) | |
|---|---|---|
| | ფოთოლი უხეში | ჩაის პლანტაციების ნარჩენები |
| 1. სალიბაურის | 50 | 70 |
| 2. ჩაქვის | 230 | 200 |
| 3. ოჩხამურის | 135 | 200 |
| 4. ლაითურის | 135 | 210 |
| 5. ნასაკირალის | 90 | 70 |
| 6. წულუკიძის | 35 | — |
| 7. დიდი-ჯყონის | 60 | 30 |
| 8. ნარაზენის | 85 | 60 |
| 9. ჯოლევჯიანის | 80 | 70 |
| 10. ლესიჭინის | 40 | — |
| 11. წალენჯიხის | 55 | 40 |
| 12. აჩიგვარის | 70 | 50 |
| 13. კოდორის | 35 | — |
| ს უ ლ | 1100 | 1000 |
| 14. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციები | 30 | — |

РУСТ 33,35
Б,КЕ ИМЭЛ
1 1 12 СБ ГР

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტი"-ს პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 28

მთავლიტის რწმ. № ი—427 შეკვ. № 680 ტირაჟი 2000